

აუდიტორული კომპანია „მ.ნ-აუდიტი“

აუდიტორული დასკვნა

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგების შესახებ

თბილისი 2013

სარჩევი

№	დოკუმენტის დასახელება	გვ
1	აუდიტორის სერთიფიკატის ასლი	1
2	მიღება-ჩაბარების აქტი	4
3	სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წერილი აუდიტორის მოწვევის შესახებ	5
4	აუდიტორული გარიგების წერილი	6
5	ხელშეკრულება აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების შესახებ	8
6	აუდიტური შემოწმების საერთო გეგმა	12
7	აუდიტის პროგრამა	16
8	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგების შესახებ	19
9	აუდიტორის ანგარიში ჩატარებული აუდიტის შედეგების, გამოვლენილი ნაკლოვანებების და მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შესახებ	24-55
	შესავალი	24
	შემოკლებანი და განმარტებები	27
	აუდიტის მასშტაბი	29
	აუდიტის ობიექტის საწესდებო და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციის ანოტაცია	30
	აღნიშვნები და დათქმები	32
	აუდიტის პროცესის ჩატარების დადებითი და ხელშემშლელი ფაქტორები	39
	აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები და შენიშვნები	40
	აუდიტით გამოვლენილი/დადგენილი გარემოებები	44
	შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხის (ბიუჯეტების) შესრულება	45

	გრანტის მიღებისა და გამოყენების შესახებ	46
	საწვავის მიღებისა და გამოყენების შესახებ	47
	გადასახადების გაანგარიშება-დეკლარირების მდგომარეობა	48
	საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით, ასოციაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ	49
	დასკვნები და რეკომენდაციები	50
10	დანართები: 1; 2; 3; 4; 4.1.; 4.2.; 4.3.; 5; 6; 7; 8; 9;	56

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

23.09.2013 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ერთის მხრივ, აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ-აუდიტი“, მისი დირექტორის იური პაპასქუას სახით, როგორც „აუდიტორი“, და მეორეს მხრივ, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მარიამ კუბლაშვილის სახით, როგორც „დამკვეთი“, ვადგენთ ამ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ:

1. აუდიტორმა დაასრულა მხარეთა შორის 2013 წლის 9 თებერვალს გაფორმებული № 1-3/2/31 ხელშეკრულებით განსაზღვრული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის საინიციატივო აუდიტი;

2. აუდიტორმა გადასცა, ხოლო დამკვეთმა ჩაიბარა აუდიტორის დასკვნა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგების, აგრეთვე აუდიტორის ანგარიში ბუღალტრულ აღრიცხვასა და შიდა კონტროლის სისტემაში შემჩნეული ნაკლოვანებების და მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შესახებ, რომელსაც მტკიცებულებების სახით ერთვის აუდიტის პროცესის ამსახველი მასალა სულ — გვერდზე, გვერდები დამოწმებულია ხელმოწერითა და აუდიტორის ბეჭდით, აკინძულია ერთ წიგნად;

3. გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და დამკვეთს აუდიტორის მიმართ პრეტენზიების არ გააჩნია;

4. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა დამკვეთს სრულად გადახდილი (შესაბამისად, შემსრულებელს მიღებული) აქვს უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად და თითო ეგზემპლიარი გადაეცათ მხარეებს; აღნიშნულს ვადასტურებთ ხელმოწერით:

შპს „მ.ნ-აუდიტის“

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო

კომისიის თავმჯდომარე

დირექტორი

ი. პაპასქუა

მარიამ კუბლაშვილი

აუდიტორული კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტი“
დირექტორს ბატონ იური პაპასქუას

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ გაცნობებთ, რომ შემოსავლებისა და ხარჯების მიზნობრივი შემოწმების მიზნით, გვესაჭიროება ჩავატაროთ 2009-2012 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

ჩვენ გამოვხატავთ ნდობას თქვენს მიმართ და გვინდა დაგიკვეთოთ შესაბამისი მომსახურება.

ჩვენი სტრუქტურის, შიდა კონტროლის სისტემის, ზოგადი პრობლემატიკის და აუდიტური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სხვა საჭირო დეტალურ ინფორმაციას თქვენ შეუფერხებლად მიიღებთ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

მომსახურების ღირებულება აგინაზღაურდებათ, ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც გავაფორმებთ.

ჩვენი რეკვიზიტებია: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, ს/კ 202255692, მის.: თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების 36, ა/ა GE85VT660000062693608 ,VTB Bank Georgia, ბანკის კოდი UGEBGE22.

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ თქვენი გადაწყვეტილება.

იმედს ვიტოვებთ, რომ გამოგვეხმაურებით და ვითანამშრომლებთ.

პატივისცემით,

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე
ზ. ხატიაშვილი

აუდიტორული კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტი“

0189, თბილისი, ანდრონიკაშვილის მე-3 შეს. №5 e.mail: i.papaskua@mail.ru. Tel.: 599 34 64 27

№

2. 02. 2013 წ.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
თავმჯდომარეს ბატონ ზ. ხატიაშვილს

აუდიტორული გარიგების წერილი

ბატონო ზაზა,

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ვიღებთ თქვენს წინადადებას აუდიტური მომსახურების გაწევზე - ჩავატარებთ 2009-2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტს.

ამ წერილით გიდასტურებთ, რომ ჩვენთვის გასაგებია გარიგების პირობები, მიზანი, აგრეთვე ჩვენს მიერ შესასრულებელი მომსახურების ხასიათი და მოცულობა.

აუდიტი ჩატარდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IFAC) მოთხოვნების მიხედვით, რაც ჩვენგან მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია შესაბამის საკითხებთან და აუდიტის ამოცანასთან დაკავშირებით. აუდიტი, აგრეთვე შეეხება ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და ბუღალტრულ შეფასებებს. აუდიტის ტესტური ხასიათისა და სხვა თანამდევი შეზღუდვების, აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემის თანდაყოლილი შეზღუდვის გამო, არსებობს გარდაუვალი რისკი იმისა, რომ აღმოუჩენელი დარჩეს ზოგიერთი არაარსებითი უზუსტობა.

აუდიტის შედეგებზე ჩვენი დასკვნის გარდა, ვვარაუდობთ წარმოგიდგინოთ ცალკე წერილი, რომელშიც დეტალურად განვიხილავთ ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებში ჩვენს მიერ შემჩნეულ ნაკლოვანებებს და პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად შემოგთავაზებთ მათი აღმოფხვრის რეკომენდაციებს.

გვსურს შეგახსენოთ, რომ დოკუმენტაციის, საშედეგო ანგარიშგებისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მომზადებაზე, მის სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება

სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობას. ეს გულისხმობს (მოიცავს) შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის წარმოებას, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას, აქტივების დაცვას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ, რომ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და აუდიტთან დაკავშირებული ინფორმაცია იყოს აკინძული და ხელმოწერებით დადასტურებული, რადგან ამას ითვალისწინებს აუდიტის პროცესი.

იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი თანამშრომლები ჩვენთვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომს გახდიან ყველა მონაცემს, დოკუმენტაციასა და სხვა ინფორმაციას, რომელსაც მოვითხოვთ აუდიტთან დაკავშირებით.

ჩვენი გასამრჯელო, დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც დასჭირდება აუდიტის წინაშე დასმული ამოცანის შესრულებას, აგრეთვე, იმ ხარჯებზე რომელსაც გავწევთ, თუმცა წინასწარი შეფასებით, ვფიქრობთ, გაწეული მომსახურების ღირებულება არ გადაჭარბებს 10000 ლარს.

ამასთან, წარმოგიდგინთ ხელშეკრულების პროექტს - განხილვისა და შეთანხმებისთვის.
ღრმა პატივისცემით,

შპს „მ.ნ.-აუდიტი“

დირექტორი

ი. პაპასქუა

ხელშეკრულება № 1-3/2/31

აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

9 თებერვალი 2013 წ

აუდიტორული კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის იური პაპასქუას სახით, შემდგომში „აუდიტორი“ ერთის მხრივ და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის სახით, შემდგომში „დამკვეთი“, მეორეს მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთისათვის აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შემოსავლებისა და ხარჯების მიზნობრივი გამოყენების დადგენის მიზნით, **დამკვეთი** ავალებს, ხოლო **აუდიტორი** კისრულობს ჩაატაროს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2009-2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საინიციატივო აუდიტი და გასცეს შესაბამისი დასკვნა, ასევე, წარადგინოს აუდიტორის წერილი (ანგარიში) ბუღალტრულ აღრიცხვასა და შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ, მათი აღმოფხვრის რეკომენდაციებთან ერთად.

2. მომსახურების შინაარსი

2.1 აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს:

- 2009-2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტურ შემოწმებას;

- საჭიროების შემთხვევაში, წინადადებების მომზადებას დეკლარაციების დაზუსტების მიზნით;

- საგადასახადო რისკების განსაზღვრას;

- საკონსულტაციო მომსახურებას საფინანსო და საგადასახადო სფეროში;

2.2. მხარეთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დამკვეთს შეიძლება გაეწიოს ისეთი სახის მომსახურება, რაც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ გამომდინარეობს ამ ხელშეკრულების მიზნებიდან.

3. მომსახურების საფასური

3.1. აუდიტორის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება შეადგენს 7000 (შვიდიათას) ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულებას დამკვეთი სრულად ურიცხავს აუდიტორს ანგარიშსწორების ანგარიშზე, აუდიტის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

3.3. ანაზღაურება არ იქნება დამოკიდებული აუდიტის შედეგებთან.

3.4. ცალკეულ შემთხვევებში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეები შესაძლოა წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ შესასრულებელი სამუშაოს დამატებით ანაზღაურებაზე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

აუდიტორის უფლებები:

4.1 აუდიტორს უფლება აქვს:

4.1.1 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

4.1.2 მიიღოს დამკვეთისგან ან მესამე პირისგან ყველა საჭირო დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია შესაბამისი მომსახურების განსახორციელებლად;

4.1.3 მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა.

აუდიტორის ვალდებულებები:

4.2 აუდიტორი ვალდებულია გაუძღვეს საქმეს კეთილსინდისიერად, დამკვეთს გაუწიოს კვალიფიციური მომსახურება, განუხრელად დაიცვას ეთიკის ნორმები, საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

დამკვეთის უფლებები:

4.3 დამკვეთს უფლება აქვს მიიღოს შემსრულებლის მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

დამკვეთის ვალდებულებები:

4.4 დამკვეთი ვალდებულია:

4.1.1 მიაწოდოს აუდიტორს ყველა ის დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რაც აუცილებელია მომსახურების გასაწევად.

4.1.2 დროულად და სრული მოცულობით გადაიხადოს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

5 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

5.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 თუ რომელიმე მხარე თავისი ბრალეული მოქმედებით ან უმოქმედობით დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს ენიჭება უფლებამოსილება ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

5.3 თუ ერთ-ერთი მხარე მეორე მხარის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ვადამდე ადრე არ შეწყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ ის მეორე მხარეს უსაზღვრავს დამატებით ვადას ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით და ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე აგრძელებს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში თანამშრომლობას.

5.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.5 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 აპრილამდე. სააღრიცხვო-საფინანსო დოკუმენტაციის შემოწმება დაიწყება 5 თებერვლიდან, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე და დასრულდება არაუგვიანეს ხელშეკრულების მოქმედების ვადისა.

6 კონფიდენციალურობა

6.1 მხარეების მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.

7 დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

7.2 მოლაპარაკების საფუძველზე საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომელიც წარმოეშობა მხარეებს, ან მათ წარმომადგენლებს განიხილება და გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8 სხვა პირობები

8.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„აუდიტორი“

„დამკვეთი“

შპს „მ.ნ.-აუდიტი“
თბილისი, ანდრონიკაშვილის
მე-3 შეს. №5
ს/კ 400014792
სს „საქართველოს ბანკის“
ც/ფილიალში, ბანკის კოდი 220101820
ა/ა GE06BG0000000889406700

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
0105 თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 36,
ს/კ 202255692
VTB Bank Georgia
ბანკის კოდი UGEBGE22
GE85VT6600000062693608

დირექტორი

თავმჯდომარე:

----- ი. პაპასქუა

----- ზ. ხატიაშვილი

აუდიტორული შემოწმების საერთო გეგმა

დამკვეთი/აუდიტის ობიექტი: სსიპ ადვოკატთა ასოციაცია;

დამკვეთის წინადადება: სარევიზიო კომისიის ინიციატივით, 2009-2012 წლების შემოსავლებისა და ხარჯების მიზნობრიობის შემოწმების მიზნით, ჩატარდეს ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი; გაეწიოს მას საკონსულტაციო მომსახურება საფინანსო და საგადასახადო სფეროში.

ფინანსური აუდიტი მოიცავს: დამკვეთის/აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და შესაბამისი დასკვნის გაცემას;

შესაბამისობის აუდიტი მოიცავს: დამკვეთის/აუდიტის ობიექტის ფინანსური ოპერაციების კანონიერების, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და შესაბამისი დასკვნის გაცემას;

ჩატარებული აუდიტის შედეგების, გამოვლენილი ნაკლოვანებების და მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შესახებ დამკვეთს/აუდიტის ობიექტს წარედგინება აუდიტორის ანგარიში.

I. მოსამზადებელი ეტაპის სამუშაოები:

1. დამკვეთის საქმიანობის წინასწარი შესწავლა:

1.1. ზოგადი წარმოდგენის შექმნა დამკვეთზე (ადგილმდებარეობის, სტრუქტურის, დაფინანსების წყაროების, წინა პერიოდის აუდიტორული შემოწმებების და მნიშვნელოვანი შედეგების, საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობის, კადრების, მათი კვალიფიკაციის, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის, დოკუმენტაციის მოცულობის, აუდიტის მიზნებისა და ამოცანების, მასშტაბების, ვადებზე დამკვეთის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიღება).

1.2. ინფორმაციის მიღების წყარო: დამკვეთის ხელმძღვანელობასთან გასაუბრება.

1.3. შემსრულებელი: იური პაპასქუა;

1.4. შესრულების ვადა: 2013 წლის 5 თებერვლამდე.

2. დამკვეთისგან მოპოვებული ინფორმაციის განხილვა:

2.1. დამკვეთის წინადადებისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაოს მოცულობის და შესაძლო რისკების შეფასება, აუდიტის მასშტაბის, დაწყება-დამთავრების ვადების, მხარეთა პასუხისმგებლობის, ხარჯების და სახელშეკრულებო თანხის მოცულობის დაანგარიშება, გარიგების წერილის მომზადება, ხელშეკრულების გაფორმება.

3. პრინციპები და პასუხისმგებლობა

აუდიტის მიზანი: გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, მომზადდა თუ არა დამკვეთის/ობიექტის ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნების და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად; სამეურნეო ოპერაციების და საქმიანობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკებსა და პროცედურებთან მიმართებაში და დასკვნის გაცემა;

აუდიტის განმახორციელებელი პირი: იური პაპასქუა - აუდიტორი;

ილონა ადამია - აუდიტორის ასისტენტი.

აუდიტორს ევალება:

- აუდიტი ჩაატაროს საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით.
- შეამოწმოს სსიპ ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში დეკლარირებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის მდგომარეობა, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების, შეფასებების და მეთოდების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნობრიობა, გადასახადების გაანგარიშების სისწორე და დაფიქსირებული შედეგების რეალობა;
- გამოხატოს თავისი მიუკერძოებელი მოსაზრება (წარმოადგინოს დასკვნა) აუდიტის შედეგების შესახებ;

- დაეხმაროს დამკვეთს საგადასახადო ორგანოში დასაზუსტებლად წარსადგენი დეკლარაციების შესადგენად (თუ ეს საჭირო შეიქმნა შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე);

- აღწეროს ბუღალტრულ აღრიცხვასა და შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებები;

- შეიმუშაოს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის რეკომენდაციები;

- დამკვეთს გაუწიოს კონსულტაციები დოკუმენტაციის სწორად შედგენისა და გამოვლენილ შეუსაბამობათა აღმოფხვრის შესაძლო გზების შესახებ.

აუდიტი უნდა ჩატარდეს პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით (ანუ იმის გაცნობიერებით, რომ შესაძლებელია არსებობს დარღვევა-ნაკლოვანებები, რომლებიც ადვოკატთა ასოციაციას შეუქმნიან პრობლემებს) და ფაქტების შეფასებისას დამკვეთთან განიხილოს ყველაზე კრიტიკული პოზიცია, რომელიც კი შეიძლება გამოხატოს მაკონტროლებელმა ორგანომ.

დამკვეთი პასუხისმგებელია: წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე, აღქმადობაზე, სისრულესა და შესაბამისობაზე. ასევე, დამკვეთის გადასაწყვეტია (და მას ეკისრება პასუხისმგებლობა): შეასრულოს აუდიტორის რეკომენდაციები, შეცვალოს (დააზუსტოს) დეკლარაციები (თუ ეს საჭირო შეიქმნა შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე).

ამასთან, დამკვეთმა უნდა გაითვალისწინოს: მიუხედავად გარანტიის მაღალი დონისა, რაც უნდა უზრუნველყოს აუდიტორმა, აუდიტი არ იძლევა აბსოლიტურ გარანტიას, რომ გამოვლინდება (აღმოიფხვრება) ყველა უზუსტობა და დაინტერესებულ მხარეს (მესამე პირებს) შემდგომ არ ექნება არანაირი პრეტენზია, შენიშვნა თუ მითითება. აუდიტის პროცესისთვის დამახასიათებელი „თანდაყოლილი“, „კონტროლის“ და „შეუმჩნეველობის“ რისკების გამო, ამის დაშვების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს.

სახელმძღვანელო ნორმატიული აქტები:

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია ეფუძნება საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAI 1000 – 2999; 4000 - 4200), რაც ნიშნავს აუდიტის ჩატარებას რისკზე დაფუძნებული მიდგომით.

რისკზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს დამკვეთის აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სხვადასხვა ასპექტების, შიდა კონტროლის სისტემის და კონტროლის გარემოს ანალიზს, რათა განისაზღვროს პოტენციური რისკიანი სფეროები, სწორად დაიგეგმოს აუდიტი და მომეტებულ რისკებზე წარმართოს ძირითადი ყურადღება.

აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას გამოიყენება: ასს 200-299 „ზოგადი პრინციპები და პასუხისმგებლობები“; ასს 300-499 „რისკების შეფასება და რეაგირება შეფასებულ რისკებზე“; ასს 500-599 „აუდიტორული მტკიცებულება“; ასს 800 „აუდიტორის დასკვნა სპეციალური დანიშნულების მქონე აუდიტორულ გარიგებაზე“; „აუდიტორის ეთიკის კოდექსი“; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტი; საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ აგრეთვე, ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“

ვალდებულების უზრუნველყოფა: შემოწმების შედეგების გარანტიის დონე, დოკუმენტაციის მიღება, აუდიტორული პროცედურები, რისკების შეფასება, შედეგების გაფორმება (დასკვნის გაცემა) - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; აუდიტის მიზნის უზრუნველყოფა - საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად; აუდიტორის ანგარიშის წარდგენა - აუდიტორული გარიგებისა და ხელშეკრულების შესაბამისად.

აუდიტის ჩატარების ვადები:

დაწყება - 2012 წლის 15 თებერვალი;

დასრულება - პროგრამით განსაზღვრული საკითხების ამოწურვის შემთხვევაში; საკითხების მიხედვით დეტალები წარმოდგენილია აუდიტის პროგრამაში.

აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ-აუდიტის“

დირექტორი:

ი. პაპასქუა

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის

პროგრამა

ანოტაცია: დამკვეთის მიერ დასმული ამოცანის, წინასწარი გასაუბრებისას გამოკვეთილი და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების უზრუნველსაყოფად, აუდიტორმა, ხელმძღვანელობასა და პერსონალთან ერთად, უნდა შეამოწმოს: სსიპ საქართველოს აუდიტორთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის დეკლარირებული ერთობლივი შემოსავლების, ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების, აგრეთვე სხვა საბალანსო მუხლების რეალობა; შემოსავლების და ხარჯების აღიარებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების, შეფასებების, მეთოდების შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სხვა კანონმდებლობასთან.

ამოცანის რეალიზაცია მოიცავს აუდიტის ინტერესების შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას და ანალიზს; კონსულტაციებს ხელშეკრულებით განსაზღვრული მთელი პერიოდის განმავლობაში. ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმების შედეგების მიხედვით დამოუკიდებელ აუდიტორს ევალება მოამზადოს შესაბამისი დასკვნა. აუდიტორული შემოწმება ითვალისწინებს აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვასა და შიდა კონტროლის სისტემებში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღწერას, მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავებას და ზეპირ კონსულტაციებს მიმდინარე ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით.

შედეგების გაფორმებასა და დამკვეთთან წარსადგენად დოკუმენტაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია აუდიტორი.

ღონისძიებების აღწერა: აუდიტორმა ტესტირების და აუდიტორული შერჩევის პრინციპების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება, რათა უტყუარი მონაცემთა გენერალური ერთობლიობის საფუძველზე ჩამოყალიბდეს დასაბუთებული დასკვნები.

აუდიტორი დამოუკიდებლად საზღვრავს შერჩევის ერთეულს, ამასთან, ქვემოთ ჩამოთვლილ ოპერაციებზე, შეთანხმებულ ვადებსა და ფორმით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

№	საკითხების ჩამონათვალი	შემსრულებელი	შენიშვნა
1	აუდიტის მიზნებისთვის ბუღალტრული ანგარიშების საწყისი ნაშთების ტესტირება	იური პაპასქუა	გამოვლენილ დარღვევებზე უნდა მიეთითოს საფუძველი და აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციები
	ადვოკატთა ასოციაციის შემოსავლებისა და ხარჯების დამტკიცებულ/დაზუსტებული გეგმის (ბიუჯეტის), შესწავლა და ანალიზი.	იური პაპასქუა	„---“ „---“
2	2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ფაქტობრივად აღრიცხული ერთობლივი შემოსავლების (საოპერაციო, არასაოპერაციო) რეალობის შესწავლა და შედეგების შედარება დამტკიცებულ/დაზუსტებულ ბიუჯეტთან.	იური პაპასქუა	„---“ „---“
3	2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ფაქტობრივად მიღებული სახსრების მიზნობრივი გამოყენების (საოპერაციო, არასაოპერაციო) შესწავლა და შედეგების შედარება დამტკიცებულ/დაზუსტებულ ბიუჯეტთან.	იური პაპასქუა ილონა ადამია	„---“ „---“
4	სალაროს, საბანკო, ანგარიშვალდებულ პირებთან სააგარიშწორებო ურთიერთობის ოპერაციების, მათზე ნაწარმოები ბუღალტრული გატარებების სისწორის და რეალობის შემოწმება	ილონა ადამია	„---“ „---“
5	წარმომადგენლობითი, კომუნალური (წყალი, გაზი, ელექტრო, ტელეფონი, ინტერნეტი, დასუფთავება, კანალიზაცია, სახანძრო), ტრანსპორტის, მივლინები და სხვა ხარჯების, მათზე ნაწარმოები ბუღალტრული გატარებების სისწორის და რეალობის შემოწმება	ილონა ადამია	„---“ „---“
6	სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შეძენის, მოძრაობისა და ნაშთების რეალობის შემოწმება	ილონა ადამია	„---“ „---“
7	ძირითადი ქონების ნაშთების და ცვეთის დარიცხვის რეალობის შემოწმება	ილონა ადამია	„---“ „---“
8	შემოსავლებისა და ხარჯების შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, დეკლარირებული გადასახადების რეალობის შემოწმება	იური პაპასქუა ილონა ადამია	„---“ „---“
10	აუდიტის შედეგების ანალიზი, განხილვა დამკვეთის უფლებამოსილ წარმომადგენელთან, დასკვნის მომზადება	იური პაპასქუა ილონა ადამია	გასათვალისწინებელია დამკვეთის სტრუქტურული ერთეულების პრობლემები
12	ბუღალტრული აღრიცხვასა და შიდა კონტროლის სისტემებში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღწერა, მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავება და დამკვეთთან წარსადგენად ანგარიშის მომზადება	იური პაპასქუა ილონა ადამია	ანგარიში უნდა ასახავდეს აუდიტის შედეგებს, გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანების დასაბუთებას, მოსალოდნელ რისკებს, მათი შემცირების შესაძლებლობას
13	დამოკიდებელი აუდიტორების დასკვნის და აუდიტორის ანგარიშის წარდგენა	იური პაპასქუა	გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი

შენიშვნა: აუდიტის პროცედურების ჩატარება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ვადებში, რომლებიც განსაზღვრულია აუდიტორული მომსახურების შესახებ დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

აუდიტის მსვლელობის პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებების და აუდიტის მასშტაბის გაზრდის მიზანშეწონილობის არგუმენტირების შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, დასაშვებია აუდიტის ჩატარების პროგრამასა და ვადაში შევიდეს კორექტივი.

აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ-აუდიტის“

დირექტორი:

ი. პაპასქუა

აუდიტორული კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტი“

0189, თბილისი, ანდრონიკაშვილის მე-3 შეს. №5 e.mail: i.papaskua@mail.ru. Tel.: 599 34 64 27

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი
საბჭოს თავმჯდომარეს
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგების შესახებ

აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ.-აუდიტი“ მასში დასაქმებული სერთიფიცირებული აუდიტორის მეშვეობით, ჩაატარა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ამავე ასოციაციის სარევიზიო კომისიის ინიციატივით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, სააღრიცხვო დოკუმენტების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელობა. აღნიშნული გულისხმობს ასოციაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებას, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის, ანგარიშწარმოების ფორმების, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის შერჩევა-წარმართვას საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, აგრეთვე, ასოციაციის ბალანსზე რიცხული ქონების, მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფას, საფინანსო-სამეურნეო

საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროულ აღკვეთას, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენასა და მობილიზებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალეზოდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნობრიობის, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების, მნიშვნელოვანი ბუღალტრული ოპერაციების სისწორის შესახებ და გაგვეცა შესაბამისი დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მოითხოვს აუდიტის პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ იყოს დაცული ეთიკის ნორმები და მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

პროცედურები, რომლებიც ჩვენ შევარჩიეთ დამოუკიდებლად და განვახორციელეთ, გათვლილი იყო მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერის არსებითი უზუსტობების რისკებზე, რომლებიც ახლავს შეგნებულ თუ უნებლიე შეცდომებს და არა იმაზე, რომ გამოგვეხატა მხოლოდ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

ჩატარებული პროცედურების შედეგად ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც გვადლევს საფუძველს დარწმუნებით გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება და გავცეთ შემდეგი:

აუდიტორის (მოდიფიცირებული) დასკვნა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ თავისი არსით, მიზნებითა და ამოცანებით, ფაქტობრივად წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, შესაბამისად, ვალდებულია ბუღალტრულ აღრიცხვა და ანგარიშგება განახორციელოს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომიტეტის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის“ საფუძველზე;

2. სსიპ ადვოკატთა ასოციაციაში გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერია“, რომლის მეშვეობითაც ასახულია (დაფიქსირებულია) შემოსავლები და ხარჯები, მაგრამ ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია სრულად არც საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ სახელმძღვანელო აქტების მოთხოვნებს პასუხობს. ეს, პირველყოფლისა, ვლინდება შემდეგში:

2.1. სსიპ ადვოკატთა ასოციაციას 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ფინანსური ანგარიშგება არ აქვს მომზადებული, წარდგენილი და გამოქვეყნებული (არც ერთი ინსტრუქციის და მით უმეტეს, ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად). ამდენად, ჩვენ ვერ მივიღეთ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი - ბუღალტრული ბალანსი; ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ; ანგარიშგება ფონდებში ცვლილებების შესახებ; ფულადი ნაკადების ანგარიშგება; სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები, რათა გამოგვეხატა ჩვენი მოსაზრება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

2.2. სსიპ ადვოკატთა ასოციაციას არ გააჩნია ტექსტურად ჩამოყალიბებული და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ ასოციაციაში ფინანსური ანგარიშგების მიმართ დამოკიდებულება არაადეკვატურია მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან და არსებულ პოტენციალთან;

2.3. სსიპ ადვოკატთა ასოციაციაში პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (გაფორმების, მიღების) პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში ინსტრუქციულ მოთხოვნებთან;

2.4. კომპიუტერული პროგრამის („ინფო-ბუღალტერია“) ცალკეული სამეურნეო ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე გატარებების კომენტარები არ იძლევა სრულ ინფორმაციას გაწეული ხარჯის დანიშნულების შესახებ;

2.5. დეკლარირებული (მოგების და ქონების) გადასახადების გაანგარიშებისას ფიქსირდება უმნიშვნელო სხვაობები (მეტწილად, ზედმეტობით) და საჭიროებენ დაზუსტებას;

3. საანგარიშგებო წლების შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა (ბიუჯეტი), აგრეთვე მასში შესატანი ცვლილებები სსიპ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიღებული აქვს ცალკეული გადაწყვეტილებების სახით (არასტანდარტული, არაშესადარისი ფორმით). ამდენად, 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ხარჯთა ნუსხა (ბიუჯეტი) არ არის შედგენილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ტექსტურად ჩამოყალიბებული, შესაბამის ცხრილში მუხლობრივად გაშლილი, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული). ასეთივე ფორმით არ მომხდარა შესაბამისი წლების ხარჯთა ნუსხის (ბიუჯეტის) დაზუსტება.

4. ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში გაწეული ხარჯები ბუღალტრულ აღრიცხვაში არ არის დაჯგუფებული და შესადარისი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული სახით მიღებულ ხარჯთა ნუსხის (ბიუჯეტის) მუხლებთანაც;

5. 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და სარევიზიო კომისიის მიერ არ მომხდარა შესაბამისი წლების ფინანსური ანგარიშგების განხილვა, დადასტურება, დამტკიცება და გამოქვეყნება, რაც ერთობლიობაში ნიშნავს ფაქტობრივი გარემოებების შეუსაბამობას მოქმედ სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, მათ შორის, ადვოკატთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრულ დებულებებთან;

ამდენად, აღნიშნულ გარემოებათა გამო:

- ჩვენ ვერ გამოვხატავთ მოსაზრებას ადვოკატთა ასოციაციის ფინანსურ ანგარიშგების შესახებ;

- ჩვენ ავლნიშნავთ, რომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ფაქტობრივად მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები ყველა ძირითად ასპექტში აღრიცხულია არსებითი უზუსტობების გარეშე, ამასთან, საანგარიშგებო წლების მიხედვით, ფაქტობრივი შედეგობრივი მაჩვენებლების დინამიკა მკვეთრად დადებითია, მიღებული სახსრები გამოყენებულია ადვოკატთა ასოციაციის მიზნებისა და

ამოცანების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ვერ ვადასტურებთ მის შესაბამისობას არსებულ (იხ. მე-3 მუხლი) შესადარ ბაზასთან;

- სსიპ ადვოკატთა ასოციაციაში დამკვიდრებული სააღრიცხვო პრაქტიკა, დოკუმენტაციის შედგენა, გაფორმება, აგრეთვე სხვა ხარისხობრივი მახასიათებლების ფორმირება მიზანშეწონილია წარმართოს მოქმედი ნორმატიული მოთხოვნების დაცვით.

ასეთი დასკვნის უფრო დეტალური მოტივაცია, გამოვლენილი დარღვევანაკლოვანებები, მათი შემდგომი პრევენციის და კონტროლის სისტემის სრულყოფის რეკომენდაციები ასახულია თანდართულ წერილობით ანგარიშში აუდიტის შედეგებზე და ინფორმაციული (ცნობების) სახით წარმოდგენილ დანართებში.

აუდიტორული ფირმა შპს „მ.წ-აუდიტის“
დირექტორი,

ი. პაპასქუა

სერტიფიკატი № 6/023, დ № 5/345, ს № 346, ბ № 347

თბილისი, საქართველო, 2013 წლის 3 ივნისი.

აუდიტორული კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტი“

0189, თბილისი, ანდრონიკაშვილის მე-3 შეს. №5 e.mail: i.papaskua@mail.ru. Tel.: 599 34 64 27

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი
საბჭოს თავმჯდომარეს
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს

აუდიტორის ანგარიში

ჩატარებული აუდიტის შედეგების, გამოვლენილი ნაკლოვანებების და მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შესახებ

შესავალი

აუდიტის საფუძველი: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წერილი - მომართვა საინიციატივო აუდიტის ჩასატარებდად მოწვევის შესახებ; აუდიტორული გარიგების წერილი; აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ.აუდიტსა“ და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ შორის 2013 წლის 9 თებერვალს გაფორმებული № 1-3/2/31 ხელშეკრულება აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების შესახებ; აუდიტის საერთო გეგმა და პროგრამა.

აუდიტის სახე: საინიციატივო;

ინიციატორი: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისია“;

დამკვეთი/აუდიტის ობიექტი: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“;

აუდიტის საგანი: დამკვეთთან შეთანხმებული აუდიტის ჩატარების საერთო გეგმის და პროგრამის შესაბამისად, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა;

აუდიტის მიზანი: სსიპ „საქართველოს აუდიტთა ასოციაციის“ შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნობრიობის, ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე შესაძლო საგადასახადო რისკების განსაზღვრა;

აუდიტის განმახორციელებელი პირი: აუდიტორული კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტის“ მეშვეობით, იური პაპასქუა - აუდიტორი (სერტიფიკატი №N 5/022, დN5/345, სN346, ბN347, გაცემულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ). **ილონა ადამია** - აუდიტორის ასისტენტი.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი: 2009 წლის 27 დეკემბრიდან სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ხელმძღვანელობს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე (იმავედროულად აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე) **ზაზა ხატიაშვილი**. მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მთავარი ბუღალტრის ფუნქციას ასრულებდა **გელა არსენაშვილი**.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა:

ზოგადად (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, სააღრიცხვო დოკუმენტების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. აღნიშნული გულისხმობს აუდიტის ობიექტის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშწარმოების ფორმების, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის შერჩევა-წარმართვას საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, აგრეთვე, ბალანსზე რიცხული ქონების, მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფას, საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროულ აღკვეთას, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენასა და მობილიზებას.

გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებისა, ხელმძღვანელობას ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებულია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წესდების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-18 მუხლის „გ“, „დ“, „ი“ პუნქტების და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისადაც.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აგრეთვე აუდიტორისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე, აღქმადობაზე, სისრულესა და შესაბამისობაზე. ასევე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა (მისი გადასაწყვეტია) გაითვალისწინოს შენიშვნები და შეასრულოს აუდიტორის რეკომენდაციები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალეობდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარება შესაბამისი მეთოდოლოგიის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, გონივრული რწმუნების მიღება და გამოგვებატა მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების, ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების, მნიშვნელოვანი ბუღალტრული ოპერაციების სისწორის შესახებ და გაგვეცა შესაბამისი დასკვნა.

აუდიტის ვადა (დაწყება-დამთავრება): აუდიტი დაიწყო 2013 წლის 20 თებერვალს და დასრულდა 2013 წლის 20 მაისს.

ადრე ჩატარებული შემოწმების შესახებ: დაფუძნებიდან დღემდე სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ საგადასახადო აუდიტი არ ჩატარებულა;

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ წინა აუდიტორული შემოწმება - „2008 წლის 31 აგვისტოს ბალანსის უწყისის აუდიტი“, ჩატარებული აქვს „საქართველოს აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიას“ (?!) და გაცემულია 2008 წლის 19 სექტემბრით დათარიღებული უპირობო დასკვნა - „ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ასოციაციის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 აგვისტოსათვის და შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტებს“. დასკვნას ერთვის „წერილი ხელმძღვანელობას 2008 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე“.

2008 წლის 31 აგვისტოდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი ჩვენს მიერ არ შემოწმებულა: ა) დამკვეთს არ მოუცია დავალება; გ) ფაქტობრივად არსებული ბუღალტრული დოკუმენტაცია არ იძლეოდა საკმარის საფუძველს რეალური შედეგის

მისაღებად; ბ) ჩვენს მიერ არ ჩაითვალა მიზანშეწონილად აგველო ვალდებულება შეგვემოწმებინა არასრული, ამასთან, შედეგობრივად უპერსპექტივო პერიოდი.

წინამორბედი აუდიტორის დასკვნა და ანგარიში, პერიოდებს შორის შუალედის, ამასთან, განსხვავებული მიდგომების გამო, ანალიზისა და შედეგების ფორმირებისთვის არ გამოგვიყენებია.

შემოკლებანი და განმარტებები (აუდიტორის ანგარიშის ძირითად ტექსტსა და დანართებში აღნიშვნების აღქმისათვის)

აუდიტორი - აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ. აუდიტი“;

აუდიტორის ანგარიში - აუდიტორის მიერ შესრულებული მომსახურების, აგრეთვე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და შიდა კონტროლის სისტემაში შემჩნეული ნაკლოვანებების დეტალური აღწერა. ანგარიში მოიცავს ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის რეკომენდაციებსაც;

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

ასს - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი;

ბუღალტრული აღრიცხვა – სუბიექტის სამეურნეო ოპერაციების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემა ფულად გამოსახულებაში;

ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – სამეურნეო მოვლენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და მათი გაგებისათვის აუცილებელი შიგა ინსტრუქციები;

ბასს - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.

გადასახადების ადმინისტრირება – გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან

და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

სსკ - საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

სკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

იხ. - იხილეთ;

კვ.მ. - კვადრატული მეტრი ფართი;

ორგანიზაცია - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები, რომელთა საოპერაციო მიზანი არ არის საქონლითა და მომსახურების რეალიზაციით მოგების მიღება, რომლებშიც რესურსების მომწოდებლები არ ელოდებიან თანაზომად ან პროპორციულ ფინანსურ უკუგებას და არ ახასიათებთ სამეწარმეო საქმიანობის მსგავსი საკუთრებიდან სარგებელი.

სააღრიცხვო პოლიტიკა - განსაზღვრული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს,

სამეურნეო ოპერაცია - ერთეულებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ქმედება, რომელიც აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მოცულობით, შემადგენლობით ან ღირებულებით ცვლილებებს უკავშირდება;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

სასს - საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;

სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები.

ფინანსური ანგარიშგება - ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი;

ფინანსური აუდიტი - დამკვეთის/აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება, შეფასება და შესაბამისი დასკვნის გაცემა;

შესაბამისობის აუდიტი - დამკვეთის/აუდიტის ობიექტის ფინანსური ოპერაციების კანონიერების, მიღებული სახსრების გამოყენების მიზნობრიობის შემოწმება, შეფასება და შესაბამისი დასკვნის გაცემა;

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია: ეფუძნება საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs 1000 – 2999; 4000 - 4200), და გულისხმობს აუდიტის ჩატარებას რისკზე დაფუძნებული მიდგომით;

რისკზე დაფუძნებული მიდგომა: მოიცავს აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ოპერაციების სხვადასხვა ასპექტების, შიდა კონტროლის სისტემის და კონტროლის გარემოს ანალიზს, რათა განისაზღვროს პოტენციური რისკიანი სფეროები, სწორად დაიგეგმოს აუდიტი და მომეტებულ რისკებზე კონცენტრირებით დაიზოგოს დრო.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტი შეეხო სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არაეკონომიკური და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების, აგრეთვე მათი გამოყენების ბუღალტრულ აღრიცხვას და საგადასახადო დეკლარირებას.

აუდიტი ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტური პროცედურების ჩატარებისას და შედეგების ფორმირებისას გამოყენებულია: სასს (ISSAIs 1000 – 2999; 4000 - 4200); ასს 200-299 „ზოგადი პრინციპები და პასუხისმგებლობები“; ასს 300-499 „რისკების შეფასება და რეაგირება შეფასებულ რისკებზე“; ასს 500- 599 „აუდიტორული მტკიცებულება“; ასს 700-799 „აუდიტორული

დასკვნები და ანგარიშის წარდგენა“; ასს 800 „აუდიტორის დასკვნა სპეციალური დანიშნულების მქონე აუდიტორულ გარიგებაზე“.

პროცედურები, რომლებიც ჩვენ შევარჩიეთ დამოუკიდებლად და განვახორციელეთ, გათვლილი იყო მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერის არსებითი უზუსტობების რისკებზე, რომლებიც ახლავს შეგნებულ თუ უნებლიე შეცდომებს და არა იმაზე, რომ გამოგვეხატა მხოლოდ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

აუდიტის ობიექტის საწესდებო და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციის ანოტაცია

ასოციაციის საქმიანობა რეგულირდება ასოციაციის წესდების საფუძველზე;

სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდების) შესაბამისად, ასოციაცია „წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის კორპორაციას და შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და ადვოკატთა შესახებ კანონების საფუძველზე“. რეგისტრირებულია 2005 წლის 22 მარტიდან. ეწევა წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას იუსტიციისა და სამართლის საქმეში. ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობასაც (ორგანიზებას უწევს: „ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას, სასწავლო ცენტრის საქმიანობას და სავალდებულო, განგრძობითი იურიდიული განათლების პროგრამას, სხვა პროექტების განხორციელებას, გამოსცემს ასოციაციის პერიოდულ ჟურნალს“). დღგ-ის გადამხდელია 2007 წლის 24 იანვრიდან;

ასოციაცია ფუნქციონირებადია და ხელმძღვანელობს განზრახული აქვს გააგრძელოს საქმიანობა;

ასოციაციის შემოსავლების წყაროებია: საწევრო შენატანები, შემოწირულობები, გრანტით მიღებული ქონება და სახსრები, შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

ასოციაციას გააჩნია ოფისები თელავში და ქუთაისში;

ასოციაციის მართვის ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო. ასოციაციას ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე;

ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (იხ. 30.1 მუხლი);

„ასოციაციის ბიუჯეტის შესადგენად თავმჯდომარემ შეიძლება მოიწვიოს სპეციალისტი“ (იხ. 30.5 მუხლი);

„ასოციაცია ვალდებულია აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით“ (იხ. 31.1 მუხლი);

„ასოციაციის თავმჯდომარემ ყოველი საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში უნდა შეადგინოს წლიური ანგარიშგება (წლიურ ბალანსთან ერთად), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში და წარუდგინოს ისინი აღმასრულებელ საბჭოს“ (იხ. 31.1 მუხლი);

„აღმასრულებელი საბჭო წარდგენიდან ერთი თვის ვადაში ამოწმებს წლიურ ანგარიშს და აქვეყნებს საჯაროდ (იხ. 31.2 მუხლი);

„სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მის მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების კანონის, ასოციაციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე“ (იხ. 25.1 მუხლი);

„სარევიზიო კომისია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს აღმასრულებელი საბჭოსაგან, თავმჯდომარისაგან, ბუღალტრისაგან და აუდიტორისაგან ნებისმიერი ან სხვაგვარი ინფორმაცია, რომლის შესწავლასაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს“ (იხ. 25.9 მუხლი);

„იმ შემთხვევაში, თუ შესასწავლი საკითხი საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტი ან ექსპერტი. აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია დროულად დაფაროს სპეციალისტის ან ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები ასოციაციის სახსრებიდან“ (იხ. 27.7 მუხლი);

„სარევიზიო კომისია განიხილავს და დადგენილების ფორმით გამოიტანს დასკვნას ასოციაციის თავმჯდომარის და აღმასრულებელისაბჭოს ყოველწლიური ანგარიშის თაობაზე“ (იხ. 25.10 მუხლი);

„სარევიზიო კომისია იკრიბება მიზანშეწონილებისამებრ, თუმცა მინიმუმ სამ თვეში ერთხელ მაინც“ (იხ. 27.1 მუხლი).

აღნიშვნები და დათქმები

- ასოციაციის რეგისტრირებული და დეკლარირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა სსიპ, რომელიც „შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და „ადვოკატთა შესახებ“ კანონების საფუძველზე.

სსიპ-ის დეფინიცია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, შემდეგნაირადაა განმარტებული: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას“.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სსიპ შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

რამდენადაც სსიპ სახელმწიფოს მიერაა დაარსებული, იგი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი

ორგანო უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

ასოციაციის დაფუძნების, ფუნქციონირების, მისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტობრივად ასოციაცია არ არის „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი“ და არც „სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს“ საქმიანობას.

ყველა ნიშნის მიხედვით, „ასოციაცია არის პროფესიული გაერთიანება, რომელიც ახორციელებს იურიდიული პროფესიის თვითრეგულირებას“. აქედან გამომდინარე, ასოციაციის არსობრივი დატვირთვა (შინაარსი) არ შეესაბამება მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ასოციაციის ფაქტობრივი სტატუსი სრულად პასუხობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსს.

სსიპ-სა და ა(ა)იპ-ს შორის განსხვავება არსებითია - განსხვავებულია მათი რეგისტრაციის პირობები.

როგორც ჩანს, ადგილი აქვს იურიდიულ კაზუსს, რაც აუდიტის მიზნებისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ექვემდებარება სუბიექტის სტატუსის შესაბამის რეგულაციას - სსიპ ვალდებულია გამოიყენოს „საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (მასში შესული ცვლილებებითა და დამატებებით), ხოლო ა(ა)იპ - ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას უნდა ახორციელებდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომიტეტის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის“ საფუძველზე;

ამდენად, ასოციაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის შეფასებისას, „შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის“ პრინციპიდან გამომდინარე, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადად აღიარებული პრინციპების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, პირველყოვლისა კი ა(ა)იპ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნების თანახმად.

- აღნიშნულ სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტებთან აუდიტის მიზნებისთვის შესაბამისობას განსაზღვრავდა ის, რომ ასოციაცია, ისევე, როგორც ყველა ა(ა)იპ ვალდებულია აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ზემოაღნიშნული სტანდარტისა და ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

ასოციაცია (წესდებითაც მოეთხოვება) ყოველ საანგარიშგებო პერიოდზე უნდა ადგენდეს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებას შესაბამისობის, აღქმადობისა და შესადარისობის პრინციპების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა მოიცავდეს:

- ა) ბუღალტრულ ბალანსს;
- ბ) ანგარიშგებას საქმიანობის შედეგების შესახებ;
- გ) ანგარიშგებას ფონდებში ცვლილების შესახებ;
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ე) სააღრიცხვო პოლიტიკას და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება, გარდა ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებისა, უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

შესადარისობის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად აუცილებელია ფინანსური ანგარიშგება მოიცავდეს ქრონოლოგიურად თანამიმდევარი ორი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება გასაგებად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გამოკვეთილი იმავე ოფიციალურ დოკუმენტში გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციისაგან.

საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის შედეგი ყალიბდება შემდეგი კომპონენტებისაგან (რომელთაგან თითოეული უნდა აისახოს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში):

- ა) ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები;
- ბ) განსაკუთრებული მუხლები.

საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება უნდა გაიმიჯნოს შეუზღუდავ, დროებით შეზღუდულ და მუდმივად შეზღუდულ ფონდებთან დაკავშირებული ხარჯების მიხედვით. ანგარიშგების ყოველ ნაწილში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

- ა) შემოსავალი (სახეების მიხედვით);
- ბ) ხარჯების სტრუქტურა (ხარჯების ფუნქციების მიხედვით);
- გ) მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის შედეგები;
- დ) ფინანსური ხარჯები;
- ე) საგადასახადო ხარჯები;
- ვ) შემოსავლების მეტობა ხარჯებზე ან დეფიციტი;
- ზ) განსაკუთრებული მუხლები;
- თ) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შედეგი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები აგრეგირდება მათი ფუნქციების მიხედვით. ანგარიშგებას დაერთვის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიცირებული ხარჯები (მაგალითად, ცვეთა, მასალების შეძენა, ტრანსპორტირების დანახარჯები, ხელფასები და გასამრჯელოები, სარეკლამო დანახარჯები და სხვ.)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილის სახით, უნდა მოამზადოს და წარადგინოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები უნდა აისახოს პირდაპირი მეთოდით და დაჯგუფდეს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებად.

ოფიციალურ დოკუმენტში გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციისაგან ასოციაციამ ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის უნდა მოამზადოს და წარადგინოს ანგარიშგება ფონდების სტრუქტურისა და ცვლილების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის არსებული საბაზისო ინფორმაცია და მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლებების ასახვისათვის შერჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იქნა გაწეული.

გაწევრიანების ერთჯერადი შენატანი შემოსავლად აღიარდება პრეტენდენტის წევრად მიღებისთანავე.

წევრობაზე განცხადება წარმოშობს განმცხადებლის ვალდებულებას, შეიტანოს გაწევრიანების ერთჯერადი შენატანი. განმცხადებელმა შესაძლებელია ეს მოვალეობა შეასრულოს მის წევრად აღიარებამდე, მაგრამ ვიდრე ის არ გახდება ორგანიზაციის წევრი, დადგენილი წესების გათვალისწინებით, მის მიერ შეტანილი თანხა განხილულ უნდა იქნეს მიღებული ავანსის სახით. იგი შემოსავლად აღიარდება წევრად მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

პერიოდული საწევრო შენატანები შემოსავლად უნდა აღიარდეს გადახდის ვალდებულების წარმოშობისთანავე.

ორგანიზაციამ, საწევრო შენატანის ოდენობასთან ერთად, უნდა დაადგინოს მათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის თარიღი. იგი ხელმძღვანელობის მიერ შეიძლება დადგენილი იყოს სხვადასხვანაირად. საფუძვლად შეეძლება აღებული იყოს თვის, კვარტლის, ნახევარი წლის ან საანგარიშგებო წლის დასაწყისი ან ბოლო.

შემოწირობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად უნდა აღიარდეს მისი მიღებისთანავე.

შემოწირობის სახით მიღებული არაფულადი აქტივები მათ განკარგვაზე უფლების მიღებისთანავე უნდა აღირიცხოს ფონდის სახით. არაფულადი შემოწირობები თავდაპირველად უნდა შეფასდეს მათი რეალური ღირებულებით.

კანონმდებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი) ითვალისწინებს ორგანიზაციის წესდებაში შემომწირველების ვინაობის მითითებას. თუ ორგანიზაციას ჰყავს წესდებაში გამჟღავნებული შემომწირველები, მათგან მიღებული შემოწირობა განხილულ უნდა იქნეს ორგანიზაციის საოპერაციო შემოსავლის სახით.

შემოწირობის სახით მიღებული არაფულადი აქტივები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადად ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, ძირითადი საშუალებები). არაფულადი მიმდინარე აქტივების ღირებულება ზრდის ორგანიზაციის ფონდებს.

მაშინ, როდესაც საქმიანობა ხორციელდება მიღებული გრანტების საშუალებით, ა(ა) იპ ვალდებულია გახსნას დამატებითი ინფორმაცია ხარჯების ფუნქციების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს გრანტით დაფინანსებული პროექტების მიხედვით.

ასეთი მოკლე მიმოხილვა დაგვჭირდა იმისთვის, რომ გამოიკვეთოს განსხვავება ნორმატიულ მოთხოვნებსა და ასოციაციაში არსებულ იმ მიდგომებს შორის, რომლის მიმართაც გვაქვს შენიშვნები, წინასწარვე გაცხადდეს პოზიციათა თანხვედრისთვის თანაბრად აუცილებელი, სახელმძღვანელო კრიტერიუმები;

- გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ასოციაცია დაფუძნებიდან, 2005 - 2009 წლებში, ძირითადად ორგანიზაციულ-ფუნქციონერივი ხასიათის საკითხების გადაწყვეტისა და სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, შესაბამისად, აქტიურ საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას არა ახორციელებდა.

2009 წლის დეკემბერში ჩატარდა რიგით მეორე ადვოკატთა საერთო კრება, სადაც ოთხი წლის ვადით აირჩიეს თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭოს 11 წევრი, ეთიკის

კომისიის 15 წევრი, სარევიზიო კომისიის 5 წევრი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა აუდიტი შეხებოდა მხოლოდ ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობის არჩევნიდან შემდგომ პერიოდს, როგორც წინა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობისგან გამიჯნულ ეტაპს. ამ მიზნით, უმთავრესად კი ბუღალტრული ანგარიშების გარდამავალი ნაშთების ფორმირების სისწორის და რეალობის დადგენის უზრუნველსაყოფად, 2009 წლის დეკემბერი სრულად შევიდა შესამოწმებელ პერიოდში.

- საწყისი ნაშთები, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ ათვლის ნიშნულად 2010 წლის 1 იანვრისათვის, სათავეს იღებენ ასოციაციის მიერ ფუნქციონირების (საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების) დასაწყისიდან. ის გარემოება, რომ წინა პერიოდი ჩვენი შემოწმებული არ არის, აგრეთვე აუდიტის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, რომლებსაც სავარაუდოდ, ადრეც ქონდა ადგილი, ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას დაბეჯითებით ვამტკიცოთ ცალკეული ბუღალტრული ანგარიშის ნაშთის სიზუსტე (ამ მხრივ, ჩვენი დამოკიდებულება მიზანმიმართულად გამოხატულია ადმინისტრირების ყველაზე მკაცრი პოზიციიდან), მაგრამ ამასთან, დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ისინი არსებითად არ განსხვავდებიან რეალურისგან;

- მხედველობაშია მისაღები, რომ ზოგადად, აუდიტის ტესტური ხასიათის, საადრიცხო პრაქტიკის ფაქტობრივი მდგომარეობის, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად გამოსაყენებელი აუდიტორული შერჩევის პრინციპების, აგრეთვე, შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ყოველთვის არსებობს გარდაუვალი რისკი იმისა, რომ შეიძლება აღმოუჩენელი დარჩეს არსებითი უზუსტობების გარკვეული ნაწილი.

- ჩვენ ვუშვებთ, რომ შესაძლოა გამოგვრჩა ან ვერ შევნიშნეთ, ცალკეული ხარვეზი, თუმცა ისინი თავსდებიან ჩვენი შეფასებების ჩარჩოებში და მას არსებითად ვერ დაამძიმებდნენ;

- აუდიტის პროგრამით განსაზღვრული საკითხების შესწავლა, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგების შესახებ

დასკვნა მომზადებულია აუდიტის განმახორციელებელი პირის (აუდიტორისა და ასისტენტის) მიერ.

- წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა და აუდიტორის ანგარიში ჩატარებული აუდიტის შედეგების, გამოვლენილი ნაკლოვანებების და მათი ამოფხვრის რეკომენდაციების შესახებ ეფუძნება დამკვეთისგან მიღებულ დოკუმენტაციის და მესამე პირებისგან (შემოსავლების სამსახური) დამატებით მოპოვებულ ინფორმაციის ანალიზის. აუდიტის შედეგები ჩამოყალიბდა ფაქტობრივი გარემოებების დამკვეთთან განხილვისა და განსჯის საფუძველზე;

- ჩატარებული ანალიზი და დასკვნები ეფუძნება აუდიტის განმახორციელებელი პირის ცოდნა-გამოცდილებას, შეზღუდულია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და აუდიტის ჩატარების შესაბამისი სტანდარტებით;

ყველა შენიშვნა და ხარვეზი (დარღვევა), რაც ასახულია წინამდებარე ანგარიშში, განხილულია სააღრიცხვო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირებთან, მათ მიერ აღიარებულია და დამოწმებულია პრობლემის არსებობა;

- მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

- წარმოდგენილ ანგარიშს ერთვის დანართები, რომლებიც მისი განუყოფელი ნაწილია და იკითხებიან ძირითად ტექსტთან ერთად: მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ, დამატებითი ტექსტობრივი მასალის, ცხრილების, დოკუმენტის ასლების ფორმით ახლავს ანგარიშს;

აუდიტის პროცესის ჩატარების დადებითი და ხელშემშლელი ფაქტორები:

აუდიტის მსვლელობის პროცესში, გარდა აუდიტორის საპატიო მიზეზით (ავადმყოფობის გამო) მცირე ხნით გამოთიშვისა, არც ერთ სხვა ფაქტორს არსებითად არ შეუშლია ხელი მიგველო საკმარისი არგუმენტები და თავისუფლად გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება აუდიტის ძირითად მიზანთან დაკავშირებით. ადგილი არ ქონია აუდიტის

მასშტაბის რაიმე ფორმით შეზღუდვას, რაც პირველყოფლისა, გამოიხატა აუდიტის ჩატარების ინიციატივასა და ხელმძღვანელობის დაინტერესებაში პრობლემური საკითხების მაქსიმალურად გამოვლენის მიმართ. ჩვენ წარმოგვედგინა სახეზე არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია; გვექონდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და პერსონალისგან ახსნა-განმარტებების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობა; კეთილგანწყობილი და საქმიანი ატმოსფერო, რაც ერთობლიობაში ქმნიდნენ აუდიტის პროცესის ჩატარების დადებით გარემოებებს;

აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენი დავალების შესაბამისად ასოციაციის ბუღალტერს მოუწია შემოსავლებისა და ხარჯების დაჯგუფება ბიუჯეტთან შესადარი მუხლების მიხედვით, რაც დროში მცირე ხნით გაიწელა. მთლიანობაში აუდიტის პროცესი 20 მაისისათვის დასრულდა.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები და შენიშვნები

2010-2012 წლებში ასოციაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მკვეთრად გაუმჯობესდა - შეიძინა საოფისე შენობა, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული და საკომუნიკაციო საშუალებები, სრულად უზრუნველყო 2008 წლის ივნისში აღებული სესხისა და %-ის დაფარვა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის უფიქსირდება თავისუფალი სახსრები. აშკარაა შემოსავლების ზრდის დადებითი დინამიკა. ფულადი სახსრების მიღება და გამოყენება აღრიცხულია იმგვარად, რომ კერძო ინტერესებისათვის გამოყენების ფაქტები არ გამოვლენილა.

აღნიშნული პოზიტიური ტენდენციის მიუხედავად, გამოიკვეთა შენიშვნები, რაც ძირითადად შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხის (ბიუჯეტის) და ასოციაციის ფინანსური ანგარიშგების შედგენას ეხება. **ჩატარებული აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები და შენიშვნები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:**

1. ასოციაციას არ გააჩნია სალაროს მეურნეობა - ნაშთად რიცხული ნაღდი ფულის შესანახი დაცული ადგილი. ამის გამო, სალაროზე ბუღალტრულად რიცხული ნაშთები აღიქმება ვირტუალურად;

2. ასოციაციას 2006 წლის 29 სექტემბრიდან ასოციაციას გააჩნდა სალარო-საკონტროლო აპარატი, რომელიც 2009 წლის 26 აგვისტოს მოიხსნა აღრიცხვიდან (**იხ. დანართი 1**). აღნიშნული თარიღიდან 2010 წლის იანვრამდე, საწევროების, ტესტირებისათვისა და ტრენინგებისათვის გადასახადის მიღება, გარდა საბანკო ანგარიშისა, სწარმოებდა ნაღდი ანგარიშსწორებითაც, საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე, მხოლოდ სალაროს შემოსავლის ორდერების საფუძველზე, რაც საგადასახადო რისკის მატარებელია, ამასთან, არ იძლევა ნაღდი ფულის მიღების და შემოსავალში სრული მოცულობით აღების კონტროლის საშუალებას;

3. 2010 წლის იანვრიდან ნაღდი ფულის მიღება მხოლოდ საბანკო ანგარიშის მეშვეობით, თუმცა ადგილი აქვს ბანკიდან ნაღდი ფულის გამოტანას სხვადასხვა დანიშნულებით. ბანკიდან გამოტანილი ნაღდი ფული ვირტუალურად ტარდება სალაროს ანგარიშზე, ფაქტობრივად კი ინაცვლებს ანგარიშვალდებულ პირთან წერილობითი მოთხოვნის, მიზნობრიობის განსაზღვრის და თანხის მოცულობის გაანგარიშების გარეშე. ცალკეულ შემთხვევაში, ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულია თანხები სხვა პირზე (მათ შორის, სახელფასო ანაზღაურების) გადასაცემად;

4. ბუღალტრული აღრიცხვის არც ერთი დოკუმენტი და სალაროს გასავლის ორდერები, მათ შორის, როგორც მიმღების შემთხვევაშიც, არაა ხელმოწერილი ასოციაციის ხელმძღვანელის მიერ.

სალაროს გასავლის არც ერთ ორდერზე (2009-2010 წლებში), აბსოლუტურ უმეტესობაზე (2011 წელს) და ცალკეულ შემთხვევაში 2012 წელს) მთავარი ბუღალტრის ხელმოწერა. მათზე ცალკეულ შემთხვევებში გაცემის დანიშნულება და საფუძველი არ არის მითითებული.

2012 წლის 6 თებერვლიდან 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით ასოციაციის თავმჯდომარეს (ზაზა ხატიაშვილი) მთავარი ბუღალტრისათვის (გელა არსენაშვილი) გაცემული აქვს მინდობილობა მასზედ, რომ ენდობა მას ნებისმიერ საბანკო ოპერაციებზე, აგრეთვე ასოციაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე მოაწეროს ხელი (**იხ. დანართი 2**), რაც ფაქტობრივად სრულდება.

5. ანგარიშვალდებული პირებისგან საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები ჩამოწერილია სხვადასხვა დასახელების (მათ შორის, კვების პროდუქტების) სამეურნეო საქონლის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე და შეძენისთანავე პირდაპირ გატარებულია ხარჯებში, შემოსავალში აღებისა და შესაბამისი სათანადო დოკუმენტის შედგენის გარეშე;

6. დარიცხვის მეთოდთან შეუსაბამოდაა აღრიცხული სხვადასხვა მომწოდებელთა დავალიანებები. მათ შორის, 2010 წლის 1 იანვრისათვის დავალიანება არ ერიცხებოდა შპს „პირველს“, მაშინ როდესაც 2010 წლის 22 თებერვალს გადაერიცხა 7 თვის დავალიანება 1050 ლარი. ეს თანხა ჩამოიწერა ხარჯებში თუმცა არ არის წარმოდგენილი ურთიერთშედარების აქტი და დავალიანების ამსახველი რაიმე დოკუმენტი;

7. ბუღალტრულად არაა ნაწარმოები ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საწევრო გადასახადების დავალიანებების აღრიცხვა. დავალიანებების ოდენობა დღემდე არაა დადგენილი, მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელ საბჭოს საკითხი რამდენჯერმე განხილული აქვს და ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია დავალიანების მქონე 1303 წევრის სია.

8. უფრო არსებითი ისაა, რომ ასოციაცია ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას არ ახორციელებს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომიტეტის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის“ საფუძველზე;

9. სსიპ ადვოკატთა ასოციაციაში გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერია“, რომლის მეშვეობითაც უტყუარად ასახულია შემოსავლები და ხარჯები, მაგრამ ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია სრულად არც საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ სახელმძღვანელო აქტების მოთხოვნებს პასუხობს. ეს, პირველყოვლისა, ვლინდება შემდეგში:

9.1. სსიპ ადვოკატთა ასოციაციას 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ფინანსური ანგარიშგება არ აქვს მომზადებული, წარდგენილი და გამოქვეყნებული (არც ერთი ინსტრუქციის და მით უმეტეს, ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად). ამდენად, ჩვენ ვერ მივიღეთ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი - ბუღალტრული ბალანსი; ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ; ანგარიშგება ფონდებში ცვლილებების შესახებ; ფულადი ნაკადების ანგარიშგება; სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები, რათა გამოგვეხატა ჩვენი მოსაზრება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

9.2. სსიპ ადვოკატთა ასოციაციას არ გააჩნია ტექსტურად ჩამოყალიბებული და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ ასოციაციაში ფინანსური ანგარიშგების მიმართ დამოკიდებულება არაადექვატურია მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებთან და არსებულ პოტენციალთან;

9.3. სსიპ ადვოკატთა ასოციაციაში პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (გაფორმების, მიღების) პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში ინსტრუქციულ მოთხოვნებთან;

9.4. კომპიუტერული პროგრამის („იმფო-ბუღალტერია“) ცალკეული სამეურნეო ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე გატარებების კომენტარები არ იძლევა სრულ ინფორმაციას გაწეული ხარჯის დანიშნულების შესახებ;

9.5. საწვავის ხარჯი, არც ერთ შემთხვევაში არ არის დოკუმენტურად სათანადოდ დადასტურებული. აღნიშნულის გამო, საწვავის შეძენაზე გადახდილი თანხა (სულ 3025 ლარი) არ არის გამოქვეითული საგადასახადო მიზნებისათვის და პირდაპირ მიკუთვნებულია მხოლოდ ფინანსური ხარჯებისთვის;

9.6. დეკლარირებული (მოგების და ქონების) გადასახადების გაანგარიშებისას ფიქსირდება უმნიშვნელო სხვაობები (მეტწილად, ზედმეტობით) და საჭიროებენ დაზუსტებას;

10. საანგარიშგებო წლების შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა (ბიუჯეტი), აგრეთვე მასში შესატანი ცვლილებები სსიპ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიღებული აქვს ცალკეული გადაწყვეტილებების სახით (არასტანდარტული,

არაშესაძარისი ფორმით). ამდენად, 2009, 2010, 2011 და 2012 წლების ხარჯთა ნუსხა (ბიუჯეტი) არ არის შედგენილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ტექსტურად ჩამოყალიბებული, შესაბამის ცხრილში მუხლობრივად გაშლილი, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული). ასეთივე ფორმით არ მომხდარა შესაბამისი წლების ხარჯთა ნუსხის (ბიუჯეტის) დაზუსტება.

11. ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში გაწეული ხარჯები ბუღალტრულ აღრიცხვაში არ არის დაჯგუფებული და შესაძარისი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული სახით მიღებულ ხარჯთა ნუსხის (ბიუჯეტის) მუხლებთანაც;

12. 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და სარევიზიო კომისიის მიერ არ მომხდარა შესაბამისი წლების ფინანსური ანგარიშგების განხილვა, დადასტურება, დამტკიცება და გამოქვეყნება, რაც ერთობლიობაში ნიშნავს ფაქტობრივი გარემოებების შეუსაბამობას მოქმედ სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, მათ შორის, ადვოკატთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრულ დებულებებთან.

აუდიტით გამოვლენილი/დადგენილი გარემოებანი

შემოსავლები და ხარჯები

ასოციაციას 2010 წლის 1 იანვრისათვის სალაროში ნაშთად ერიცხებოდა **2349** ლარი, საბანკო ანგარიშებზე - **52202,56** ლარი, სულ - **54551,56** ლარი. აღნიშნული თანხა მოიცავს 2009 წელს მიღებული გრანტი **13970** ლარი. 2010 წლის განმავლობაში შემოსავლებმა შეადგინა სულ **747565,8** ლარი, მათ შორის, საწევრო შენატანები - **574255,8** ლარი და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან - **173310** ლარი. მიღებული სახსრებიდან გახარჯულია სულ **570662,96** ლარი და 2011 წლის 1 იანვრისათვის ნაშთად დარჩა **231454,43** ლარი. აქედან, სალაროში - **1772,88** ლარი, ხოლო საბანკო ანგარიშზე - **229681,55** ლარი; 2011 წლის განმავლობაში შემოსავლებმა შეადგინა სულ **813535,92** ლარი, მათ შორის, საწევრო შენატანები და შემოწირულობები - **610833** ლარი, შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან - **171690** ლარი და გრანტის სახით - **31012,92**

ლარი. მიღებული სახსრებიდან გახარჯულია სულ **920686,12** ლარი და 2012 წლის 1 იანვრისათვის ნაშთად დარჩა **124304,18** ლარი. აქედან, სალაროში - **4190,88** ლარი, ხოლო საბანკო ანგარიშზე - **120113,3** ლარი; 2012 წლის განმავლობაში შემოსავლებმა შეადგინა სულ **752923,65** ლარი, მათ შორის, საწევრო შენატანები - **411435** ლარი, შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან - **149505** ლარი და გრანტის სახით - **191983,65** ლარი. მიღებული სახსრებიდან გახარჯულია სულ **708655,56** ლარი და 2013 წლის 1 იანვრისათვის ნაშთად დარჩა **168655,7** ლარი. აქედან, სალაროში - **564,9** ლარი, ხოლო საბანკო ანგარიშზე - **168090,8** ლარი (იხ. დანართი 3);

შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხის (ბიუჯეტების) შესრულება

ასოციაციაში ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების პრაქტიკა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ ემყარება საფუძვლიან გათვლებს და არ ხორციელდება ერთიანი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

საანგარიშგებო წლების შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა (ბიუჯეტი), აგრეთვე მასში შესატანი ცვლილებები ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიღებული აქვს ცალკეული გადაწყვეტილებების სახით (არასტანდარტული, არაშესადარისი ფორმით) - არ არის ტექსტურად ჩამოყალიბებული, შესაბამის ცხრილში მუხლობრივად გაშლილი, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული. ასეთივე ფორმით არ მომხდარა შესაბამისი წლების ხარჯთა ნუსხის (ბიუჯეტის) დაზუსტება (იხ. დანართი 4).

ასოციაციის მიერ 2010, 2011 და 2012 წლებში გაწეული ხარჯები ბუღალტრულ აღრიცხვაში არ იყო დაჯგუფებული და შესადარისი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული სახით მიღებულ ხარჯთა ნუსხის (ბიუჯეტის) მუხლებთანაც. ამდენად, აუდიტის მსვლელობის პროცესში, არსებული სააღრიცხვო (კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერიის“) ბაზაზე ნაწილობრივ მოხერხდა მისი ფორმირება თანდართული სახით:

2010 წელს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო შემოსავლები სულ **485000** ლარის ოდენობით (გრანტის გარეშე). აქედან, შემოსავლები

საწევროებიდან - **420000** ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან - **65000** ლარი. წლის დასაწყისში არსებული ნაშთის (**54552** ლარი) გათვალისწინებით, იგეგმებოდა ხარჯები სულ **492454** ლარის ოდენობით. ფაქტობრივად, საკასო შემოსავლებმა შეადგინა **747566** ლარი, ანუ **262566** ლარით მეტი. მათ შორის, საწევროებიდან მიღებულია **574256** ლარი (**154256** ლარით მეტი), ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - **166110** ლარი (**101110** ლარით მეტი). მიღებული სახსრებიდან გახარჯულია სულ **440113** ლარი ანუ **52341** ლარით ნაკლები. მუხლობრივი დინამიკა ასახულია დანართში (იხ. დანართი 4.1).

2011 წელს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო შემოსავლები სულ **570000** ლარის ოდენობით (გრანტის გარეშე). აქედან, შემოსავლები საწევროებიდან - **500000** ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან - **70000** ლარი. წლის დასაწყისში არსებული ნაშთის (**229682** ლარი) გათვალისწინებით, დაზუსტებული ბიუჯეტით იგეგმებოდა ხარჯები სულ **864562** ლარის ოდენობით. ფაქტობრივად, საკასო შემოსავლებმა შეადგინა **782523** ლარი, ანუ **212523** ლარით მეტი. მათ შორის, საწევროებიდან მიღებულია **610523** ლარი (**110533** ლარით მეტი), ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - **171690** ლარი (**101690** ლარით მეტი). მიღებული სახსრებიდან გახარჯულია სულ **779277** ლარი ანუ **85285** ლარით ნაკლები. მუხლობრივი დინამიკა ასახულია დანართში (იხ. დანართი 4.2).

2012 წელს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო შემოსავლები სულ **460000** ლარის ოდენობით (გრანტის გარეშე). აქედან, შემოსავლები საწევროებიდან - **380000** ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან - **80000** ლარი. წლის დასაწყისში არსებული ნაშთის (**108250** ლარი) გათვალისწინებით, დაზუსტებული ბიუჯეტით იგეგმებოდა ხარჯები სულ **516102** ლარის ოდენობით. ფაქტობრივად, საკასო შემოსავლებმა შეადგინა **560940** ლარი, ანუ **100940** ლარით მეტი. მათ შორის, საწევროებიდან მიღებულია **411435** ლარი (**31435** ლარით მეტი), ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - **149505** ლარი (**141505** ლარით მეტი). მიღებული სახსრებიდან გახარჯულია სულ **418002** ლარი ანუ **98100** ლარით ნაკლები. მუხლობრივი დინამიკა ასახულია დანართში (იხ. დანართი 4.3).

როგორც ჩანს, ყველა საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლები მიღებულია დაგეგმილზე გაცილებით მეტი. ამასთან, ხარჯები მთლიანობაში გაწეულია განსაზღვრულთან მნიშვნელოვნად ნაკლები. ცალკეული მუხლების მიხედვით კი ხარჯი საერთოდ არაა დაფიქსირებული. ეს, ერთის მხრივ, აშკარად დადებითი ტენდენციაა, მაგრამ მეორეს მხრივ, მიანიშნებს ბიუჯეტის დაუსაბუთებელ გაანგარიშებაზე, რაც ბიუჯეტის დაზუსტებისას შეიძლება დარეგულირებულიყო.

საყურადსაღებოა ის ფაქტი, რომ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და სარევიზიო კომისიის მიერ არ მომხდარა შესაბამისი წლების ბიუჯეტების საკასო შესრულების მიმდინარეობის პერიოდული განხილვა და კორექტივების შეტანა.

გრანტის მიღებისა და გამოყენების შესახებ

გარდა საწევრო შენატანებისა და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრებისა, ასოციაცია ახორციელებს საგრანტო პროექტებსაც, საიდანაც ღებულობს დამატებით შემოსავლებს.

2009-2012 წლებში ასოციაციას მოპოვებული აქვს 5 გრანტი საერთო თანხით **236787** ლარი. აქედან, ხელფასის სახით გაცემულია **109970** ლარი, მომწოდებლებზე გადახდილია **98175** ლარი, ბანკის მომსახურებას მოხმარდა **165** ლარი, **660** ლარი დაუბრუნდა დონორ ორგანიზაციას (**იხ. დანართი 5**).

გრანტის სახით მიღებული თანხები აღრიცხულია გამოცალკევებულად და სრულად გამოყენებულია გრანტის ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის განსახორციელებლად.

საწვავის მიღებისა და გამოყენების შესახებ

ასოციაციას 2010-2012 წლებში ვისოლისგან შეძენილი აქვს სულ **3025** ლარის ღირებულების საწვავი, რაზეც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია (**იხ. დანართი 6**).

მაგრამ საწვავის ხარჯი, არც ერთ შემთხვევაში არ არის დოკუმენტურად სათანადოდ დადასტურებული. აღნიშნულის გამო, საწვავის შეძენაზე გადახდილი თანხა (სულ 3025 ლარი) არ არის გამოქვითული საგადასახადო მიზნებისათვის და პირდაპირ მიკუთვნებულია მხოლოდ ფინანსური ხარჯებისთვის;

გადასახადების გაანგარიშება-დეკლარირების მდგომარეობა

ასოციაცია, საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე, იხდის შემდეგი სახის გადასახადებს: **საშემოსავლო გადასახადს** დაქირავებული და არადაქირავებული პირებიდან (თუ ასეთი აუცილებლობა წარმოიშვა); მოგების გადასახადს, დღგ-ს; ქონების/მიწის გადასახადს.

აუდიტის პროცესში სრულად შემოწმდა თითოეული მათგანის დასაბეგრი ბაზის, გადასახადის მოცულობის, გადახდის დროულობის სისწორე.

2010-2012 წლებში ასოციაციას ბიუჯეტში დაქირავებული პირებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილი აქვს სულ **216157,13** ლარი; მოგების გადასახადი - **31100** ლარი; დღგ - **96117,6** ლარი; ქონების გადასახადი **3741** ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, 2010 წლის მოგების გადასახადში დამატებით დარიცხვას ექვემდებარება **482** ლარი. სხვაობები განპირობებულია გამოსაქვით ხარჯებში მისაკუთვნილებელი ამორტიზაციისა და კრედიტისათვის გადახდილი პროცენტის გაანგარიშებაში დაშვებული უზუსტობით. 2011 წელსა და 2012 წლების მოგების გაანგარიშებებში, იგივე მიზეზით, გამოსაქვითი ხარჯები შემცირებულია და აღნიშნულის გამო, 2011 წელს მოგების გადასახადი დარიცხულია **328** ლარით მეტი, ხოლო 2012 წელს - **312** ლარით მეტი. დამატებითი ღირებულების და საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებაში სხვაობა არ ფიქსირდება. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების გადასახადის გაანგარიშებაში, ძირითადად ამორტიზაციის გაანგარიშებაში დაშვებული უზუსტობის გამო, დასაბეგრი ბაზა გაზრდილია და 2010 წელს დარიცხულია **233** ლარით მეტი, 2011 წელს -**154** ლარით მეტი, ხოლო - 2012 წელი -**15** ლარით მეტი.

მიწის გადასახადი გაანგარიშებულია სწორად, თუმცა ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტისთვის გადასარიცხი თანხა გადარიცხულია თბილისის ბიუჯეტში.

დეკლარირებულ და შემოწმებით გამოვლენილ მონაცემებს შორის სხვაობები დეტალურად წარმოდგენილია თანდართულ ფორმებში (იხ. დანართი 7).

საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით, ასოციაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ

ასოციაციას 2009-2012 წლების მიხედვით არ აქვს ფინანსური ანგარიშგება შედგენილი და სამართლიანად წარდგენილი, შესაბამისად, არ მომხდარა მისი განხილვა, დამტკიცება და გამოქვეყნება, რაც ერთობლიობაში აღიქმება, როგორც მოქმედი სახელმძღვანელო დოკუმენტების: ბასს, ფასს, საქართველოს კანონების „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, სსიპ თუ ა(ა)იპ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციების (სტანდარტების), მათ შორის, ადვოკატთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული დებულებების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის დამაგვირგვინებელი ეტაპია და პირველყოვლისა, საჭიროა ასოციაციის ხელმძღვანელობისათვის შემდგომში საქმიანობის უფრო რაციონალურად წარმართვის, სახსრების მობილიზაციის და მიზნობრივად გამოყენების კონტროლის მიზნებისათვის; წევრებისათვის - რათა იცოდნენ თუ რას მოხმარდა მათ მიერ გადახდილი საწევრო გადასახადები; გარე მომხმარებლებისათვის - სხვადასხვა ინტერესების უზრუნველსაყოფად და ა.შ.

ფინანსური ანგარიშგების არ შედგენა და სამართლიანი წარუდგენლობა ფაქტობრივად ნიშნავს ბუღალტრული აღრიცხვის არ ქონას.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ასოციაციაში არ მოიპოვება წინა (2006-2008) წლების ფინანსური ანგარიშგებებიც, რაც ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ამ უმთავრესი დოკუმენტის მიმართ არ იყო ადეკვატური ინტერესი გამოხატული ფინანსური

ანგარიშგების მომხმარებლების მხრიდან, მათ შორის, ასოციაციის ხელმძღვანელობის და სარევიზიო კომისიის მიერ.

ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენლობის გამო, ჩვენ ვერ გამოვხატეთ მოსაზრება შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს, რაც აისახა ჩვენს მიერ გაცემულ მოდიფიცირებულ დასკვნაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ამდენად, ჩატარებული აუდიტის შედეგები გვაძლევს საფუძველს დარწმუნებით ვთქვათ, რომ ასოციაციაში ბუღალტრული აღრიცხვა, განსაკუთრებით კი მისი დამაგვირგვინებელი ნაწილი - ფინანსური ანგარიშგება, აგრეთვე ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების პროცესი არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ჩვენ გავეცით მოდიფიცირებული დასკვნა და მისი ობიექტურობა არგუმენტირებულად დავასაბუთეთ.

მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ შეესაბამება მხოლოდ იმ დასკვნას, რომელიც გავეცით.

ჩვენ ავლნიშნავთ, რომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ფაქტობრივად მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები დაფიქსირებულია (ასახულია კომპიუტერულ პროგრამაში), ამასთან, საანგარიშგებო წლების მიხედვით, ფაქტობრივი შედეგობრივი მაჩვენებლების დინამიკა მკვეთრად დადებითია, მიღებული სახსრები გამოყენებულია ადვოკატთა ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ვერ ვადასტურებთ მის შესაბამისობას არსებულ (იხ. მე-10 მუხლი) შესადარ ბაზასთან;

მხოლოდ ზემოაღნიშნული შენიშვნების, აგრეთვე ანგარიშში ასახული ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებით (აღმოფხვრის) შემდგომ იქნება სრულად უზრუნველყოფილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

მდგომარეობის სტაბილიზაციის, დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და შემდგომში მათი პრევენციის მიზნით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასოციაციის სარევიზიო კომისიამ და აღმასრულებელმა საბჭომ:

1. განიხილოს ჩატარებული აუდიტის შედეგები, გაანალიზოს მიზეზები და ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები და უზრუნველყოს მისი წესრიგში მოყვანა მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომიტეტის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის“ შესაბამისად (შემდგომში გამოყენებისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული დოკუმენტი აუდიტორის ანგარიშს ერთვის. **იხ. დანართი 8**);

2. უნდა შეცვალონ სააღრიცხვო დოკუმენტაციის გაფორმების, ფინანსური ანგარიშგების შედგენის, საერთოდ, ბუღალტერიის მიმართ დამოკიდებულება - გააქტიურონ, უფრო ქმედითი გახადონ შიდა კონტროლის სისტემა. გარდაქმნან (ამაღლონ, ჩამოაყალიბონ) და ბუღალტრის საქმიანობას მიანიჭონ არა ფაქტების პასიური რეგისტრატორის, არამედ მიმდინარე პროცესებზე (ოპერაციებზე) აქტიური ზემოქმედების, რეალური კონტროლის განხორციელების, აგრეთვე მკაცრი ადმინისტრირების ფუნქცია;

3. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ასოციაციის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, დაზუსტების და შესრულების პროცესს. ამ მხრივ, მკაცრად დაიცვან წესდების 30-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;

3.1. ჩვენ ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, როგორც სანიმუშო, მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენა (ფორმის, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლების განსაზღვრა) განხორციელდეს სპეციალისტის მონაწილეობით;

4. ასოციაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია და ამდენად, უნდა უზრუნველყოს **ბუღალტრული აღრიცხვის სწორი ორგანიზაცია, სააღრიცხვო პოლიტიკის** შემუშავება და სახელმძღვანელოს რანგში მისი დამკვიდრება (იხ. წესდების 31-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები);

4.1. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა განახორციელოს დარიცხვის პრინციპით. მკაცრად დაიცვას ბასს-სა და სსკ-ის ფუმემდებლური მოთხოვნები;

4.2. რაც მთავარია, დადგენილ ვადებში, ფორმითა და მოცულობით, შეადგინოს და სამართლიანად წარადგინოს ასოციაციის ფინანსური ანგარიშგება (იხ. წესდების 31-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები) და დაამკვიდროს პრაქტიკაში მის ყოველწლიური, განუხრელი შესრულება.

4.2.1. თუ ეს შეუძლებელია საკუთარი ძალებით, მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი, რომლის მეშვეობითაც შეადგინოს განვლილი წლების ფინანსური ანგარიშგება და მომავალი წლებისთვის შექმნას შესაბამისი ბაზა.

4.2.2. დამოუკიდებელ აუდიტორთა მოწვევა დაიგეგმოს ინფორმაციის მომხმარებელთა წინაშე არა ფორმალური ვალმოხდის, არამედ, ფაქტობრივი მდომარეობის რეალური შესწავლის, პრობლემათა აღმოფხვრის და ასოციაციის წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. ეფექტურობის ამაღლების მიზნით, უფრო რაციონალურია აუდიტორების ჩართვა მიმდინარე პროცესებშიც, კონსულტაციების მიღება ანგარიშგების (დეკლარაციების) წარდგენამდე მათ სისწორესა და შესაძლო დაზუსტებების შესახებ. ამ მხრივ, წლის დასაწყისიდანვე უნდა შეირჩეს და დამოუკიდებელ აუდიტორთა ჯგუფს პერიოდულად (კვარტალურად მაინც) შეემლოს შეამოწმოს შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციები;

4.3. მთლიანად შეიზღუდოს ასოციაციაში ნაღდი ფულის ბრუნვა და საანგარიშსწორებო ურთიერთობა (მათ შორის, ანგარიშვალდებულ პირებთან) გადაეწყოს საბარათე სისტემაზე (ეს მოხსნის თანხის გამოყენების დასაბუთების ბევრ პრობლემას);

4.4. სააღრიცხვო და საბანკო, აგრეთვე ასოციაციის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე, ხელს უნდა აწერდეს ასოციაციის

ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტრის ხელმოწერის შემდეგ. ეს გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ ასოციაციაში კრედიტის განმკარგულებელი ასოციაციის თავმჯდომარეა (იხ. წესდების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-18 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტები). ბუღალტერს ეკისრება პასუხისმგებლობა სწორად და შესაბამისად აღრიცხოს ბუღალტრული დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე ენდობა მთავარ ბუღალტერს მოაწეროს ხელი მის მაგივრად (რაც აკრძალული არ არის), მიგვაჩნია, ხელმძღვანელი უშუალოდ უნდა იყოს ჩართული საფინანსო-სააღრიცხვო საქმიანობაში. ეს აამაღლებს საერთო პასუხისმგებლობას და დოკუმენტის გაფორმებისადმი მოთხოვნილებას;

4.5. არ გამოვრიცხავთ, რომ საგადასახადო შემოწმების დროს ჩვენს მიერ გამოვლენილი განსხვავებები დეკლარირებულ მონაცემებთან (მისი ნაწილი მაინც) გახდეს განხილვის საგანი და სანქცია-საურავების გავრცელების საფუძველი.

სსკ-ის 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომებს, რომელებიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

საგადასახადო დეკლარაციებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია ნებისმიერ დროს, ვიდრე განხორციელდება პირის საგადასახადო შემოწმება.

საგადასახადო რისკების ნაწილობრივ შემცირების მიზნით, აუდიტორის ანგარიშში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ასოციაციის ხელმძღვანელობამ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რა მოცულობით და როდის მოახდინოს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციების დაზუსტება;

5. ასოციაციის სარევიზიო კომისია ვალდებულია (იხ. წესდების 25-ე მუხლი) და სისტემატურად აკონტროლოს ასოციაციის ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენება.

5.1. სარევიზიო კომისია უნდა ჩაერთოს ბიუჯეტის შედგენის პროცესში, დამტკიცებამდე (დაზუსტებამდე) მოითხოვოს მისი დასაბუთება, განიხილოს მიზნობრიობა, ოპტიმალურობა და დადგენილების სახით გასცეს თანხმობა, ასევე, პერიოდულად (კვარტლის დამთავრების ან საჭიროებისამებრ) განიხილოს ასოციაციის თანხების ხარჯვის შესაბამისობა დამტკიცებულ (დაზუსტებულ) ბიუჯეტის მუხლებთან;

5.2. სარევიზიო კომისია ვალდებულია (იხ. წესდების 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი) და ყოველწლიურად (წლის დასაწყისიდანვე) შეარჩიოს (მოიწვიოს) აუდიტორი და საჭიროების შემთხვევაში, მისი მეშვეობით უზრუნველყოს ჩართულობა ბიუჯეტის შედგენისა და მიღებული სახსრების გამოყენების კონტროლი;

6. ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია და ასოციაციის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცების შემდეგ გამოქვეყნდეს (განთავსდეს ასოციაციის საიტზე);

7. სააღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა აიკინძოს და დაინომროს. საგადასახადო შემოწმების შემდგომ შეიძლება ჩაბარდეს კომპანიის არქივს. შეგახსენებთ, რომ საგადასახადო მიზნებისთვის, სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი; ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულების თანახმად კი - ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებული არიან ბუღალტრული დოკუმენტები ათი წლის განმავლობაში შეინახონ.

ბოლოს გვსურს აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი გაუგებრობებისგან დაზღვევის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგების ამსახველი წარმოდგენილი სრული მასალა ჩაიწერა მყარ დისკზე და ელექტრონულ ვერსიას, როგორც ჩვენი პასუხისმგებლობის მასშტაბის განმსაზღვრელ დოკუმენტს, თან ვურთავთ (იხ. დანართი 9) აქვე დავსძენთ, რომ აქ წარმოდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურია და განკუთვნილია ასოციაციის ხელმძღვანელობისათვის. სხვა პირებისათვის გადაცემა დაიშვება მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილებით.

აუდიტის შედეგების შესახებ აქ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები გამომდინარეობს ჩვენს წინაშე დასმული ამოცანებიდან, აგრეთვე იმ

ვალდებულებებიდან, რომელიც ავიღეთ და ვფიქრობთ, სრულად შევასრულეთ. პირდაპირობა და მდგომარეობის შეუღამაზებელი გადმოცემა უნდა აღვიქვათ, როგორც ასოციაციის სააღრიცხვო საქმიანობის გაუმჯობესებასა და რისკების შემცირებისკენ მიმართული შემდგომი მოქმედებების დაგეგმვის, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საწინდარი.

ვიმედოვნებთ, ჩვენი ურთიერთკეთილგანწყობილი, საქმიანი დამოკიდებულება აუდიტის შედეგების მიუხედავად არ შეიცვლება და ერთობლივი ძალისხმევა არსებული პრობლემების გამოვლენა-დაძლევის საკითხებში კვლავაც გაგრძელდება.

პატივისცემით,

აუდიტორული ფირმა შპს „მ.ნ-აუდიტის“

დირექტორი,

აუდიტორი

სერტიფიკატი №6/023, დ№5/345, ს № 346, ბ №347

აუდიტორის ასისტენტი

ი. პაპასქუა

ი. ადამია

თბილისი, საქართველო, 2013 წლის 10 ივლისი